

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

პროგრამაზე დაიშვება მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელიც სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სპეციალური კომისიის წინაშე გაივლის გასაუბრებას, სადაც წარადგენს საკუთარი ხელით შესრულებულ პორტფოლიოს (ნახატებს) და ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გასაუბრების ჩატარების თარიღი გამოქვეყნდება სტუ-ს ვებგვერდზე

**პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, მოდის დიზაინის ტექნოლოგიების სფეროში, როგორც მხატვრულ-ტექნიკურ მოდელირებაში, ასევე თანამედროვე ნოვატორულ და კრეატიულ ტექნოლოგიებში შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარის მქონე დიზაინის ბაკალავრების მომზადება.

პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი კადრის მომზადებას, რომელიც მზად იქნება:

- ა. მოდური ტენდენციების, კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური მიღწევების, კულტურული მემკვიდრეობის ტრადიციული მიმდინარეობების გამოყენებით თანამედროვე ნაწარმის მხატვრულ-ტექნიკური დაგეგმარებისათვის, შემოქმედებითი პროექტისათვის პორტფოლიოს შედგენისა და კოლექციის შექმნისათვის.
- ბ. მხატვრული და ტექნიკური სფეროების ინტეგრირების გზით, მასიური და სერვისის საწარმოებში, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური სამუშაოების წარმართვისათვის.
- გ. შემოქმედებითი, დიზაინერული და ტექნოლოგიური ამოცანების გადაჭრა-განხორციელების მიზნით, მიღებული ცოდნის განვითარებისათვის.
- დ. პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, მოდის დიზაინის და ტექნოლოგიის სფეროს ეთიკური პრინციპების, ფასეულობების, ღირებულებების და ტრადიციების დაცვისათვის.

**სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)**

- 1. **იაზრებს** მოდის დიზაინის ტექნოლოგიების სფეროს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის აუცილებლობას სამოსის ასორტიმენტის, კლასიფიკაციის და გამოყენებული მასალების, ნაწარმის მხატვრული მოდელირების, კონსტრუირებისა და ტექნოლოგიური დამუშავებისათვის საჭირო მეთოდების, მოდის დიზაინის ტექნოლოგიების ძირითადი პრინციპების, გამოყენებითი ანთროპოლოგიის, ბიომექანიკის, კონსტრუირების და მხატვრული მოდელირების ურთიერთკავშირის იდენტიფიცირებისათვის.
- 2. **აანალიზებს** კონკურენტუნარიანი ნაწარმის დაგეგმარებისათვის მხატვრული და ტექნიკური სფეროების ინტეგრირების, საწარმოთა მოქნილი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ტექნიკის გამოყენების აუცილებლობას; ნაწარმის დამუშავების კრეატიული ტექნოლოგიების როლსა და მნიშვნელობას; მოდის ბიზნესში არსებულ სპეციფიკურ თავისებურებებს მომხმარებელთა ტიპოლოგიისა და მიზნობრივი ბაზრის შერჩევის მეთოდების საფუძველზე; ასევე, ბიზნეს მოდელისა და პროექტების შერჩევის, დაგეგმვისა და რეალიზაციის შესაძლებლობებს.
- 3. კომპიუტერული ტექნოლოგიებსა და უცხოური ენის ფლობას **განიხილავს**, როგორც სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და

ანალიზისათვის, განმარტებითი დოკუმენტაციის შექმნისა და გრაფიკული დაგეგმარებისათვის, საქმიანი ურთიერთობების წარმართვისათვის მნიშვნელოვან ფაქტორებს.

4. მოდის დიზაინის სფეროში, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენებით და თანამედროვე მოდური ტენდენციების გათვალისწინებით, **ირჩევს** თემას და **ახდენს** არჩეული თემის ირგვლივ ვიზუალური და თეორიული მასალის მოძიებას, დიზაინერული ნამუშევრის კონცეპტუალური საკითხების ჩამოყალიბებას, იდეის განხორციელების მეთოდებისა და საშუალებების დასაბუთებას, საკვლევი თემის კოლორისტული თავისებურებების გაანალიზებას.
5. **ქმნის** მხატვრულ-გრაფიკულ ნამუშევარს, კოლექციის ესკიზებს, ძირითადი და დამხმარე მასალებისა და ფურნიტურის სტრუქტურის, თვისებების და დასაგეგმარებელი ნაწარმის ასორტიმენტის მიხედვით კონსტრუქციულ ნახაზს, როგორც ტიპიური, ისე ინდივიდუალური ფიგურისათვის, ნაწარმის თარგს ტექნიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, ნაწარმს მასალაში ტექნოლოგიური რუქის შესაბამისად.
6. **აკეთებს** განზოგადოებულ დასკვნებს სტანდარტული ან ზოგიერთი გამორჩეული კრეატიული მეთოდის საფუძველზე, მოდის დიზაინის სფეროში პრობლემების გადასაწყვეტად, თანამედროვე ტენდენციების შეფასებისა და მიღებული შედეგების შეჯამებისათვის.
7. შემოქმედებითი პროექტისათვის **ამზადებს** პორტფოლიოს და კოლექციას პრეზენტაციისა და დაცვისათვის.
8. **ანვითარებს** მიღებულ ცოდნას შემოქმედებითი, დიზაინერული და ტექნოლოგიური კრეატიულ-კონცეპტუალური ამოცანების გადაჭრა-განხორციელების და მოდის დიზაინის სფეროში წარმატებული საქმიანობის მიზნით.
9. **იზიარებს** პროფესიული სტანდარტების საჭიროებას, მოდის დიზაინისა და ტექნოლოგიის სფეროს ეთიკურ პრინციპებს, კულტურულ ფასეულობებსა და ღირებულებებს.

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ

კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, კერძოდ, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა 40 (დასკვნითი შეფასების მინიმალური დადებითი ქულაა 11), ხოლო შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულა - 60 (შუალედური შეფასების მინიმალური დადებითი ქულაა 30). ამასთან, შუალედური შეფასება მოიცავს 2 კომპონენტს: შუასემესტრულ გამოცდას და მიმდინარე აქტივობის შეფასებას (ტესტირება, პრაქტიკული/თეორიული საშინაო დავალების შესრულება, სემინარზე აქტივობა და ა.შ.). შუასემესტრული გამოცდა შეფასების აუცილებელი კომპონენტია, მისი მაქსიმალური ქულაა 30, მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური ქულაა 30. FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.

<b>პროგრამის საგნობრივი დატვირთვა</b>		
<b>№</b>	<b>სასწავლო კურსი</b>	<b>ECTS კრედიტი</b>
	<b>ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები</b>	
1	წრფივი ალგებრისა და კალკულუსის ელემენტები	5
2	მხაზველობითი გეომეტრია	3
3	აკადემიური ხატვა	7
4	შესავალი ხელოვნების ისტორიაში	3
5	ინფორმატიკა და კომპიუტერული გრაფიკა (Corel Draw)	7
6	<b>უცხოური ენა (არჩევითი)</b>	
6.1	ინგლისური ენა-1	5
6.2	რუსული ენა-1	5
6.3	გერმანული ენა-1	5
6.4	ფრანგული ენა-1	5
6.5	იტალიური ენა – A1.1	5
7	ფერწერა და ფერადი გრაფიკა	7
8	კომპოზიციის საფუძვლები	5
9	კოსტუმის ისტორია	5
10	ტექნიკური ნახაზი მოდის დიზაინში (CAD)	5
11	<b>უცხოური ენა (არჩევითი)</b>	
11.1	ინგლისური ენა-2	5
11.2	რუსული ენა-2	5
11.3	გერმანული ენა-2	5
11.4	ფრანგული ენა-2	5
11.5	იტალიური ენა – A1.2	5
12	<b>არჩევითი ჰუმანიტარული საგნები</b>	
12.1	ფილოსოფიის საფუძვლები	3
12.2	სოციოლოგიის შესავალი	3

12.3	აკადემიური წერის ელემენტები	3
12.4	შესავალი ფსიქოლოგიაში	3
12.5	საქართველოს ისტორია	3
12.6	კულტუროლოგია	3
12.7	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები	3
13	სპეც. კომპოზიცია 1	5
14	ქართული ეროვნული სამოსისა და ორნამენტის ისტორია	5
15	შესავალი ფერთამცოდნეობაში	5
16	ტექსტილის ნაკეთობათა მხატვრულ-დეკორატიული გაფორმების მეთოდები	10
17	გამოყენებითი ანთროპოლოგია და ბიომექანიკის საფუძვლები	5
18	შრომის უსაფრთხოება	5
19	სპეც. კომპოზიცია 2	5
20	ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები - ანთროპომეტრია	5
21	ტექსტილის მასალათმცოდნეობა	5
22	დარგის საწარმოო ტექნიკა	4
23	ტექსტილის ნაწარმის საწყისი ტექნოლოგიური დამუშავება	6
24	სპეც. კომპოზიცია 3	5
25	ტყავის მასალათმცოდნეობა	5
26	ფეხსაცმლის დეტალების ტექნოლოგიური დამუშავება	5
27	ტექსტილის ნაწარმის კონსტრუირება	6
28	სამოსის წარმოების თანამედროვე მანქანები და მათი პრაქტიკული გამოყენება	4
29	<b>სპეციალობის არჩევითი საგნები</b>	
29.1	სტილი და მოდა	5
29.2	დარგის ნაკეთობათა ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის მართვა	5
29.3	სამოსის ჰიგიენა	5
30	სპეც. კომპოზიცია 4	5
31	ტექსტილის ნაწარმის ტექნოლოგია	6
32	ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირება	5
33	არქიტექტონიკა	4
34	მოდა და ბიზნესი	5

35	მარკეტინგის საფუძვლები	5
36	სამოსის მხატვრული მოდელირება	4
37	კულტურული მემკვიდრეობა და მოდური ტენდენციები	4
38	ტყავის ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგია	6
39	ტყავის ნაწარმის (ფეხსაცმლის) მხატვრულ-ინჟინრული დაგეგმარების ინტეგრაცია	4
40	ტექსტილის ნაწარმის მხატვრულ - ინჟინრული დაგეგმარების ინტეგრაცია	4
41	საწარმოო პრაქტიკა ტექსტილის ნაწარმისა და ტყავის ნაკეთობათა საწარმოებში	8
42	საბაკალავრო პროექტი	10
43	<b>თავისუფალი კომპონენტები</b>	
<b>I ჯგუფი</b>		
43.1.1	ქსოვა, ქარგვა, მასალაში შესრულება	5
43.1.2	ქართული ეროვნული სამოსის კონსტრუირება	5
43.1.3	აქსესუარების მხატვრულ-ტექნიკური დაგეგმარება	5
<b>II ჯგუფი</b>		
43.2.1	ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვის ტექნოლოგია და მასალაში შესრულება	5
43.2.2	ქართული ეროვნული სამოსის დამუშავების ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიები	5
43.2.3	აქსესუარების მასალაში შესრულება	5
<b>III ჯგუფი</b>		
43.3.1	ფერწერული ქარგვის, ქსოვის, გობელენის, თექის მასალების ღებვის ტექნოლოგია	5
43.3.2	ქართული ეროვნული კოსტუმის ელემენტების მასალაში შესრულება	5
43.3.3	მეწარმეობის სამართლებლივი ფორმები	5
<b>IV ჯგუფი</b>		
43.4.1	კომპიუტერული მოდელირება - 3D	5
43.4.2	თანამედროვე არქიტექტურის ისტორია	5
43.4.3	თექა, მასალაში შესრულება	5